

ქალის დუალური როლი კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში

(ავღანეთი, კოლუმბია)

ნინო ჩიკვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საერთაშორისო ურთიერთობები

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჩიკვაძე

23.01.2019

## აბსტრაქტი

მკვლევარებმა აღიარეს, რომ ქალების ჩართულობა კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში მნიშვნელოვანია. გენდერული დისბალანსი მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის განვითარებას. მიუხედავად, მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმისა სხვადასხვა სახელმწიფოში დღემდე გამოწვევად რჩება ქალების ჩართვა პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში. გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, იზრდება ქალის ჩართვის საჭიროება კონფლიქტურ სიტუაციებში, მათი წარმომადგენლობების ზრდა მოლაპარაკების მაგიდასთან, რასაც ხელს უწყობს, როგორც ხელისუფლება, ასევე სამოქალაქო და კერძო სექტორი (არასამთავრობო ორგანიზაციები).

კვლევა სწავლობს ქალთა მონაწილეობის როლს კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში. ნაშრომი იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. პირველ ეტაპზე ჩატარდა თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და უკვე არსებული კვლევების და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლა. მეორადი ინფორმაციის დამუშავების მეშვეობით განხილულია ორი ქვეყნის, ავღანეთის და კოლუმბიის ქეისები, ორივე შემთხვევაში ქალები გამოირჩეოდნენ, როგორც ერთ-ერთი მთავარი აქტორები კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ქალთა ყოფაქცევაში შეინიშნება დუალიზმი - ერთის მხრივ ისინი არიან მშვიდობისმყოფელნი, თუმცა, მეორეს მხრივ ისინი შეიძლება გადაიქცნენ დამნაშავეებად ან იქცნენ მსხვერპლად.

საინტერესოა, რატომ ერთვება ქალი კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში? რა ხდის მას იძულებულს კონფლიქტში მონაწილეობისას აიღოს პრობლემის მოგვარების პასუხისმგებლობა? კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს დასმულ კითხვებს და დადგინოს, რა როლს თამაშობს ქალი კონფლიქტის მართვაში, განსაზღვროს ქალის მიერ გამოყენებული სტრატეგიები, დადებითი და უაროფითი შედეგები, რომელიც შეიძლება

მოჰყვეს ქალის აქტიურობას კონფლიქტის გადაწყვეტაში და აჩვენოს როდის არიან ისინი მშვიდობისმყოფელები, მსხვერპლნი ან დამნაშავეები.

საკვანძო სიტყვები: ქალების გაძლიერება, კონფლიქტის მოგვარება, პოსტ-კონფლიქტური მდგომარეობა, გენდერული თანასწორობა, ქალი მშვიდობისმყოფელი, ქალი მსხვერპლი, დუალური ქცევა.

## Abstract

Researchers have recognized that women's involvement in the conflict resolution process is important. Gender imbalance significantly hinders the development of the country. Nevertheless, women in the political and social life of many important reforms remain challenged in the present day. Due to the global processes, the need to involve women in conflict situations and their representation increases at the negotiating table that promotes both government and civil and private sectors (NGOs).

Research studies the role of women in the conflict resolution process. The paper uses the methodology of qualitative research. At the first stage the review of the existing literature around the topic, the study of existing research and the experience of different countries were conducted. Two countries, Afghan and Colombian cases are reviewed by the use of secondary information. In both cases women are distinguished as one of the main actors in the conflict resolution process. Dualism is observed in women's behaviors - on the one hand they are peacemakers, but on the other hand they may become perpetrators or become victims.

It is interesting to know why women are involved in conflict resolution. What does he have to take responsibility for resolving the problem while participating in the conflict? The research seeks answers to these questions determines the role of women in conflict management and women's strategies, positive and unrealistic consequences that may lead to women's activity in conflict resolution and shows when they are peacemakers, victims or criminals.

Key words: The empowerment of women, Conflict resolution, Post-conflict situation, Gender equality, Women as peacemakers, Women as victims, Dual behavior.